აბიტურიენტების საყურადღებოდ!

ხატვაში გასაუბრების ჩატარების პირობები ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამა „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“

ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ მიიღება აბიტურიენტები, რომელთაც აქვთ სრული ზოგადი განათლება.
ქართულენოვან საბაკალავრო პროგრამაზე „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ გამოყოფილია 20 ადგილი;
ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“ არჩევის შემთხვევაში ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე თქვენ უნდა გაიაროთ გასაუბრება ხატვაში.

ხატვაში გასაუბრების ჩატარების ფორმა და შეფასების სისტემა

1. აბიტურიენტს/მობილობის მსურველ სტუდენტს ევალება კომისიას წარუდგინოს საკუთარი ხელით შესრულებული თავისუფალი მარტივი კომპოზიციები, როგორც აქრომატულ, ასევე ქრომატულ ფერებში (იხ. თანდართული ნიმუში დანართი №1) და გასცეს სწორი პასუხები ნახატებთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.
შეფასების კრიტერიუმები:
ნამუშევარი შესრულებულია კომპოზიციის პრინციპების გათვალისწინებით;
ნამუშევარში სწორად არის ფერთა გამა განაწილებული.

2. გასაუბრება წარმატებით გავლილად შეიძლება ჩაეთვალოს იმ აბიტურიენტს/მობილობის მსურველ სტუდენტს, რომელიც საგამოცდო კომისიას წარუდგენს ნახატების მინიმალურ (5) რაოდენობას, რომელიც შესრულებული იქნება ზემოთ მოცემული კრიტერიუმების დაცვით და კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს გასცემს ამომწურავ პასუხებს.

3. გასაუბრება ჩაითვლება წარუმატებლად და აბიტურიენტი /მობილობის მსურველი სტუდენტი ვერ მიიღებს ჩათვლას, თუ მის მიერ წარმოდგენილი ნამუშევრები ვერ დააკმაყოფილებს შეფასების კრიტერიუმებს.

4. უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, აბიტურიენტს უფლება აქვს გააგრძელოს მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში, თუმცა ვერ ჩაირიცხება სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე: „მოდის დიზაინის ტექნოლოგიები“.

5. გასაუბრებაზე წარმოდგენილი ნამუშევრები რჩება კომისიის განმგებლობაში.
6. გასაუბრება ხატვაში აბიტურიენტისათვის უფასოა.

დანართი 1